


# კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტი



პროფესორი ირმა მანჯავიძე  
კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური  
სიმულაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი პირდარა ნოზაძე



ასისტენტ პროფესორი დალი ჩიტაიშვილი



ბოლონის პროცესის მონაწილე ქვეყნებისათვის საბაზო სამედიცინო განათლების კომპეტენციები განისაზღვრა TUNING/MEDINE-ს მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების საფუძველზე, რაც თავის მხრივ შეესაბამება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს.

საქართველოს განათლების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ( 01.06.2011 წ.) N 225 ბრძანებაში მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ (<http://www.eqe.ge/res/docs/medicina.pdf>) მითითებულია, რომ „დიპლომირებული მედიკოსის ექვსწლიან სასწავლო კურიკულუმში გათვალისწინებული უნდა იქნეს 20 კრედიტი კლინიკური უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის დამატებით გამოყენებული უნდა იქნეს სხვადასხვა სირთულის სიმულატორები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ რეალურ დაავადებას, დიაგნოსტიკურ და სამკურნალო პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს მათ მიერ სწავლის პროცესში გამომუშავებული კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება დამოუკიდებლად, სიმულატორებზე ან ზედამხედველობის ქვეშ“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლების ჩართულობის გაზრდის მიზნით პოსტდიპლომური სწავლების ძირითად კურიკულუმში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის 524/4 და 25 ივლისის 24/5 დადგენილების შესაბამისად კონკურსის წესით დაინიშნენ კლინიკური უნარ-ჩვევების დეპარტამენტის პროფესორად ირმა მანჯავიძე, ასოცირებულ პროფესორად ხათუნა ლომაური და ასისტენ-პროფესორად დალი ჩიტაიშვილი. არჩევნების შედეგების მიხედვით 2016 წლის 12 სექტემბერს ასოცირებულ პროფესორად დაინიშნა პირდარა ნოზაძე და

ხათუნა ლომაური განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. თსსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 6 ივლისის 23/6 დადგენილებით შეიცვალა კლინიკური უნარ-ჩვევების დეპარტამენტის სახელწოდება და ეწოდა „კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტი“.

დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

სხვადასხვა სახის სილაბუსების მომზადება და იმპლემენტაცია (დიპლომამდელი სამედიცინო განათლება)

- მედიცინის ფაკულტეტის დიპლომამდელი სამედიცინო განათლების სილაბუსების შემუშავება მეორე, მეოთხე და მეექვსე კურსებისათვის. სილაბუსების შინაარსი და კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამონათვალი მომზადებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების და სტუდენტთა ცოდნისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სწავლების სხვადასხვა ეტაპზე. სამედიცინო პროცედურებისა და მანიპულაციების ჩატარება ხორციელდება სიმულატორებსა და მულაჟებზე;
- საგანმანათლებლო საექთნო პროფესიული პროგრამების ექთნებისა და ბებიაქალების, ასევე ბაკალავრი ექთნების სილაბუსების მომზადება საექთნო უნარ-ჩვევებში მულაჟებისა და სიმულატორების გამოყენებით პროფესიული მზადების საბოლოო შედეგების მიხედვით;
- სასწავლო სილაბუსის მომზადება პირველად გადაუდებელი დახმარებასა და საექთნო პროცედურების ჩატარებაში ფარმაციის და ჯანდაცვის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტებისათვის მულაჟებისა და სიმულატორების გამოყენებით;
- „სწავლა სწავლებით“ ელექტიური კურსის მომზადება: მედიცინის ფაკულტეტის მეექვსე კურსის სტუდენტები პედაგოგების მეთვალყურეობითა და სათანადო შეფასებით უტარებენ მეცადინეობებს მედიცინის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტებს ბაზისური სამედიცინო მანიპულაციების სწავლების მიზნით სხვადასხვა სიმულატორების გამოყენებით.

სატრენინგო პროგრამების შემუშავება (დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლება)

უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი პროგრამები

- მოზრდილი და პედიატრიული პაციენტის მოვლის კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლება მულაჟების და მანეკენების გამოყენებით.
- მოზრდილი პაციენტის პირველადი გადაუდებელი და ქირურგიული დახმარების უნარ-ჩვევების სწავლება მულაჟების და მანეკენების გამოყენებით.

მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები არასამედიცინო დარგის სპეციალიტებისათვის

- პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (პირველი დონე) უნარ-ჩვევების სწავლება მულაჟების და მანეკენების გამოყენებით
  - პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (მეორე დონე) უნარ-ჩვევების სწავლება მულაჟების და მანეკენების გამოყენებით
- კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტში სწავლება ხორციელდება მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მეორე და

მეოთხე კურსებზე 2-2 სასწავლო კრედიტის ფარგლებში, ხოლო მეექვსე კურსზე 3 კრედიტია გათვალისწინებული.

სწავლების ყველა ეტაპზე სილაბუსით განსაზღვრული სასწავლო პროგრამის დასრულებისთანავე მედიცინის ფაკულტეტის მეოთხე და მეექვსე კურსებზე ტარდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) კლინიკურ უნარ-ჩვევებში, სტუდენტი ახდენს სხვადასხვა სამედიცინო პროცედურების ჩატარების დემონსტრირებას და მათი შეფასება ხდება წინასწარ მომზადებული შეფასების სპეციალური ფურცლით.

კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტში ყოველი სემესტრის დასრულების შემდგომ წარმოებს სტუდენტთა შეფასებებისა და უკუკავშირის ანალიზი, რაც სილაბუსების შემდგომი დახვეწისა და სრულყოფის საშუალებას იძლევა - დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მინიმალურ კომპეტენციათა წარმატებით შესრულებისათვის.